პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ კვირა 7 მაისი 1978 წ. □ № 108 (17152) □ ფასი 2 კაპ.

ხელი მოაწერეს ერთობლივ დოკუმენტს

ბონი, 6 მაისი. (საკდესი). დღეს საზეიმო ვითარებაში გაიმართა ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერა. მას ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა ჰ. შმიდტმა.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიკისა და მრეწველობის დარგში სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გრძელვადიანი თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების შესახებ. საბჭოთა კავშირის სახელით ამ შეთანხმებას ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით — ფედერალურმა კანცლერმა ჰ. შმიდტმა, ვიცეკანცლერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ.-დ. გენშერმა.

დოკუმენტების ხელმოწერას დაესწრნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს ლ. ი. ბრეჟნევის თანმხლები საბჭოთა ოფიციალური პირნი; ფედერაციული რესპუბლიკის მხრივ ხელმოწერას ესწრებოდნენ ფედერალური მთავრობის წევრები, ბუნდესტაგის დეპუტატები, მთელი რიგი სამინისტროების სტატს-მდივნები, სხვა ოფიციალური პირნი.

დოკუმენტების ტექსტი პრესაში ქვეყნდება.

ერთობლივი დეკლარაცია

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტელევიზიით

სანამ მშვიდობისა, ძვირფასო ტელემაყურებლებო!

მე დიდი კმაყოფილებით დავეთანხმე წინადადებას, რომ მესაუბრა თქვენთან დღეს. მთავრდება ჩემი მეორე ვიზიტი თქვენს ქვეყანაში. ჩვენ სავსებით კმაყოფილი ვართ მისი შედეგებით. პრეზიდენტ ვალტერ შეელთან, კანცლერ ჰელმუტ შმიდტთან, ვიცე-კანცლერ გენშერთან ჩვენი მოლაპარაკება, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარესთან ვილი ბრანდტთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან შეხვედრები ფრიად საჭირო და სასარგებლო იყო.

ამჯერად ბონში წამოსვლისას, ჩვენს ამოცანად ის მიგვაჩნდა, რომ მოსკოვის 1970 წლის ხელშეკრულების საფუძველზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ერთად მრავალი წლისათვის განგვესაზღვრა ორმხრივ საქმეებში ჩვენი ქვეყნების შემდგომი თანამშრომლობის მთავარი ორიენტირები, აგრეთვე დაგვესახა მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცებაში ურთიერთმოქმედების გზები. ჩემი აზრით, ვიზიტის დროს ბევრ რაიმეს მივაღწიეთ ამ მიმართულებით. საფუძველი გვაქვს ვიმედოვნებდეთ, რომ მისი შედეგები მეტ სტაბილურობასაც, მეტ გაჯანსაღ მიანიჭებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას.

ამჟამად ჩვენ მსოფლიო სარბელზე მოვლენათა განვითარების უაღრესად პასუხსაგებ ეტაპზე ვართ, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ბევრი რამ შეუძლიათ გაკეთონ იმ სიძნელეთა აღმოსაფხვრელად, რომლებსაც დაძაბულობის შენელების პროცესი წაწყდა თავის განვითარებაში. ჩვენს ქვეყნებზე ბევრად არის დამოკიდებული, დამკვიდრდება და გაღრმავდება თუ არა ის პოზიტიური პროცესები, რომლებიც სეირთაშორისო ურთიერთობაში დაიწყო 70-იანი წლების პირველ ნახევარში.

საიდუმლო არ გახლავთ, რომ დღეს ეს პროცესები რამდენადმე შეფერხდა. ყველა მიზეზს არ დავიმოწმებ, ეს მიზეზები ცოტა როდია. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჯერჯერობით ვერ შევძელით საოცარი გამაღელვები შეიარაღების ალაგმვა. ეს უაღრესად საშიში გარემოებაა. ასეთი გამაღლებული შეიარაღება ხომ არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, იგი ულმობლად უთხრის ძირს პოლიტიკური დაძაბულობის შენელების შენობას. მან, თუ არ შევაჩერეთ, შეიძლება საეჭვო გახადოს თვით კაცობრიობის მომავალი.

ამიტომ ჩვენს ქვეყანას, საბჭოთა კავშირს, საერთაშორისო საქმეებში თავის უმნიშვნელოვანეს ძიზნად მიაჩნია თავიდან აიცილოს კაცობრიობას ომისაკენ დაქანება, დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობა — საყოველთაო, სამართლიანი, ხანგრძლივი მშვიდობა. ასეთია ჩვენი უტყუარი კურსი. იგი დამკიდებული არ არის არავითარ კონიუნქტურულ ცვლილებებზე. იგი საკანონმდებლო წესით არის დამკვიდრებული საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში. ამ კურსს განუხრელად ვახორციელებთ ყველა საშუალებით. მას ემსახურება საბჭოთა დიპლომატიის მუშაობა. მას მხარს უჭერს ჩვენი ქვეყნის მთელი საზოგადოებრიობა. ყველა ჩვენს გეგმას მშვიდობიანი პერსპექტივის გათვალისწინებით ვამუშავებთ.

ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ხალხი, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქენი, ჩამოდიან საბჭოთა კავშირში. და ყველა, ვინც მეფიცრეობლად ეცნობა ჩვენს ცხოვრებას, უთოოდ დაადასტურებს: ჩვენი ქვეყნის მთელი ატმосფერო გამსჭვალულია მშვიდობისადმი ხალხის უდიდესი მისწრაფებით, ყველა ხალხთან მეგობრულად ცხოვრების მისწრაფებით.

როცა ვამბობთ, ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, მშვიდობა გვაქვსო, ვამბობთ იმას, რაც გულში გვაქვს. ამას წინათ. მაგალითად, კვლავ ციწვეე ცომბირსა და შორეულ აღმოსავლეთს: ათასობით კილომეტრი გავიარე, შევხვდი ბევრ ადამიანს. და რაზეც უნდა ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი, იგი უცვლელად ეხებოდა საერთაშორისო პრობლემებსაც, საბოლოო ანგარიშით კი საკითხთა ერთს: შეიძლებთ თუ არა მშვიდობის დაცვასა და განმტკიცებას.

ჩვენში, საბჭოთა კავშირში, არ არის კლასები, არც სოციალური ფენები, არც პროფესიული ჯგუფები, რომლებიც ომით, ან მისი მომზადებით იყვნენ დაინტერესებული, ამით გამდიდრების იმედი ჰქონდეთ. ჩვენში, რა თქმა უნდა, არის სამხედრო ქარხნები, არის არმია, მაგრამ არც ამ ქარხნების ხელმძღვანელები, არც არმიის მეთაურთა შემადგენლობა, არც მუშები, არც ჯარისკაცები ომსა და სამხედრო შეკვეთებს არ უკავშირებენ თავიანთ კეთილდღეობას. ჩვენ ძალიან გვინდა მშვიდობიანი პროდუქციის გამოშვებაზე, მშვიდობიან, ადამიანებითს მიზნებზე გადავიყვანოთ სამხედრო ქარხნებიც, რაც დიდად სასარგებლო იქნებოდა მთელი საზოგადოებისათვის.

ჩვენს ქვეყანას ხშირად ადარებენ გიგანტურ სამშენებლო მოედანს. და ეს ხატოვანი გამოთქმა კი არ არის, ფაქტია. ჩვენ ბევრს ვაშენებთ. და არა მარტოოდენ ვაშენებთ, არამედ, შეიძლება ითქვას, სახეს ვუცვლით ჩვენს ქვეყანას.

თქვენ, ალბათ, გაგიგონიათ, ვთქვათ, ბაიკალ-ამურის მmagისტრალის ამბავი. ეს არის რკინიგზა, რომლის სიგრძე 3000 კილომეტრს აღემატება. იგი გაჰყავთ მარადი გაყინულობის პირობებში, გაუვალ, უფრან ტაიგაში, გაჰყავთ ძლიერებში. მისი აშენება მარტო ამას კი არ ნიშნავს, რომ ბევრად შეგამციროთ გზა წყნარი ოკეანისაკენ. ეს იმასაც ნიშნავს, რომ დავასახლოთ ტერიტორია, რომელიც რამდენიმე დიდი სახელმწიფოს ტოლია. და ყოველივე ამის გაკეთება ლამის უდაბურ ადგილას გვიხდება.

(დასასრული მე-2 გვ.).



სურათზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ვილი ბრანდტის საუბრის დროს.

საკვლევ-საძიებო ფოტოთა.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ვ. ბრანდტის საუბარი

ბონი, 6 მაისი. (საკდესი). 5 მაისს ნაშუადღევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს ვილი ბრანდტს.

საუბრის დროს, რომელმაც გულითადად, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, შეეხნენ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარების მთელ რიგ საკითხებს, საერთაშორისო ვითარების აქტუალურ პრობლემებს.

ერთსულოვნად აღინიშნა, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშვიდობიანი განვითარებისა და თანანშრომლობის სულ უფრო ფართო პროგრამა ეყრდნობა მოსკოვის ხელშეკრულების მტკიცე საფუძველს. ამ თანამშრომლობას, როგორც ვ. ბრანდტმა თქვა, მხარს უჭერენ დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის ფართო წრეები, მათ შორის გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა ის დიდი როლი, რომელიც შეასრულა ვ. ბრანდტმა როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საალმოსავლეთო პოლიტიკის — სოციალისტურ ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობისა და თანამშრომლობის პოლიტიკის ერთ-ერთმა შემქმნელმა.

საუბრის დროს ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის პერსპექტივებისა და ევროპის მშვიდობის განმტკიცებისათვის ორივე ქვეყნის ხალხთა ურთიერთპატივისცემისა და ნდობის ჩანერგვის ამოცანას, ორივე ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მართალი, ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამშრომლები ა. მ. ალექსანდროვი, ა. ა. ბლატოვი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფედერალური მდივანი ე. ბარი.

შეთანხმება

ეკონომიკისა და მრეწველობის დარგში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხანგრძლივი თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, რომლებიც

მხედველობაში იღებენ 1970 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულებაში გამოთქმულ მტკიცე გადაწყვეტილებას გაუმჯობესონ და გაფართოონ თანამშრომლობა, მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობის დარგში, ორივე სახელმწიფოს ინტერესებისათვის,

იმოწმებენ 1958 წლის 25 აპრილის შეთანხმებას ვაჭრობისა და ზღვაოსნობის ზოგად საკითხებზე, 1973 წლის 19 მაისის შეთანხმებას ეკონომიკური სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ, 1974 წლის 30 ოქტომბრის შეთანხმებას ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ,

მაღალ შეფასებას აძლევენ ორი სახელმწიფოს ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის დარგში უკვე მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს,

ისწრაფვიან განუწყვეტლივ განაკითარონ და გაღრმავონ ორი სახელმწიფოს ურთიერთობის მთელი კომპლექსი,

დარწმუნებული არიან, რომ ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური ურთიერთობის დარგში მათი ხანგრძლივი თანამშრომლობის გაფართოება და ინტენსიფიკაცია არა მარტო შეესაბამება ორი სახელმწიფოს საერთო ინტერესებს, არამედ დიდმნიშვნელოვანი წვლილიც შეაქვს მთელ ევროპაში ხანგრძლივი თანამშრომლობის საქმეში,

სურთ განახორციელონ ეს თანამშრომლობა გრძელვადიან საფუძველზი.

შეგნებული აქვთ, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის 1975 წლის 1 აგვისტოს ჰელსინკში ხელმოწერილი საბოლოო აქტის შესაბამისად ევროპაში ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ევროპის და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ხელშემკვრელი მხარეები მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ სტაბილურ და გრძელვადიან საფუძველზე ეკონომიკურ, სამრეწველო და ტექნიკურ თანამშრომლობას, როგორც ორმხრივი ურთიერთობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვან და აუცილებელ ელემენტს. ითვალისწინებენ რა შესაბამისი სწარმოებისა და ორგანიზაციების მრავალ შეთანხმებული და მომზადებული პროექტების და იმ პროექტების გრძელვადიან ხასიათს, რომლებიც მოსალოდნელია მომავალში, კერძოდ, ნედლეული მასალებისა და ენერგეტიკის დარგში, ხელშემკვრელი მხარეები ეცდებიან თანამშრომლობის შემდგომ ინტენსიფიკაციას ურთიერთსარგებლობის საფუძველზე.

მუხლი 2

ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, კერძოდ:

სამრეწველო კომპლექსებისა და საწარმოების შექმნაში, გაფართოებასა და მოდერნიზაციაში;

ცალკეულ სახეობათა მოწყობილობისა და სხვა ნაკეთობათა ერთობლივ შემუშავებასა და წარმოებაში;

ცალკეულ სახეობათა ნედლეულის მოპოვებასა და გადამუშავებაში, მათ შორის ზღვის ფსკერის სასარგებლო წიაღისეულის დამუშავებაში;

ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობაში;

შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების ტექნიკურ თანამშრომლობაში;

სანაკ და საფაზღვევოსაქმის, ტრანსპორტის დარგსა და მომსახურების გაწევის სხვა დარგებში თანამშრომლობაში;

მესამე ქვეყნების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში.

თანამშრომლობა განხორციელდება, კერძოდ, ისეთ დარგებში, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, მათ შორის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, ქიმია, ელექტროტექნიკა, მათ შორის ელექტრონული მრეწველობა, აგრეთვე ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობა.

მუხლი 3

ხელშემკვრელი მხარეები წაახალისებენ ეკონომიკური ინფორმაციის რაც შეიძლება ფართო გაცვლას, რათა ერთმანეთს გაუუმჯობესონ გასაღების შესაძლებლობანი. ამასთანავე ისინი მოქმედი კანონებისა და წესების ფარგლებში კეთილად წაახალისებენ ვაჭრობის ხელშემწყობი ბიუროს, შემსყიდველი კომისიების, საწარმო-ორგანიზაციათა წარმომადგენლობების, შრომული საზოგადოებებისა და ტექნიკური პერსონალის საქმიან კონტაქტებსა და მუშაობის პირობებს, აგრეთვე ხელს შეუწყობენ ბაზრობების, სეზონალ-ზებულ გამოფენების, სიმპოზიუმებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობას.

მუხლი 4

ხელშემკვრელი მხარეები ორი სახელმწიფოს ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების პირობებში ყოველ ღონეს იხმარენ, რომ გაითვალისწინონ შრომის საერთაშორისო დანაწილების პრინციპები და შესაბამისი ბაზრების პირობები. თუ ორივე მხარე დაინტერესებული იქნება, დიდი მასშტაბისა და გრძელვადიანი პროექტების განხორციელებაში თანამშრომლობა შეიძლება დაუკავშირდეს ასეთი თანამშრომლობის შედეგად წარმოებული პროდუქციის მიწოდებას.

მუხლი 5

ცნობენ რა მნიშვნელობას, რომელიც დაეთანხლებს, კერძოდ საშუალოვადიანი და გრძელვადიანი კრედიტების მიცემას აქვს ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის, ხელშემკვრელი მხარეები ამ შეთანხმების მიზნების მისაღწევად გარანტიათა მინიჭების მხრივ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა საშუალოვადიანი და გრძელვადიანი კრედიტები გაიცეს თითოეულ ამ სახელმწიფოში არსებული წესების ფარგლებში, რაც შეიძლება ხელსაყრელი პირობებით.

მუხლი 6

ამ შეთანხმების პრაქტიკული განხორციელებისათვის; ხელშეწყობა და თვალის გადევნება ევალება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიას ეკონომიკის კომპეტენტური და დაინტერესებული ორგანოების მონაწილეობით. ამ შეთანხმების მიზნების მისაღწევად კომისია აღნიშნული ორგანოების მონაწილეობით შეიმუშავებს გრძელვადიან პროგრამას თანამშრომლობის ძირითად მიმართულებათა შესახებ.

მუხლი 7

1971 წლის 3 სექტემბრის ოთხმხრივი შეთანხმების შესაბამისად ეს შეთანხმება დადგენილი პროცედურების თანახმად გავრცელდება ბერლინზე (დასავლეთ ბერლინზე).

მუხლი 8

ეს შეთანხმება არ შეეხება ხელშემკვრელ მხარეთა მიერ ადრე დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. ამასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, ხელშემკვრელი მხარეები, ერთიერთი მათგანის წინადადებით, ძალაუფლებენ კონსულტაციებს, მაგრამ ისე, რომ ეს კონსულტაციები არ შეეხებოდეს ამ შეთანხმების ძირითად მიზნებს.

მუხლი 9

ამ შეთანხმების მოქმედების ვადა გათვალისწინებულია 25 წლით. შეთანხმების მოქმედების თავდაპირველი ვადა წესდება 10 წლით, რომლის გასვლის შემდეგ ყოველ ჯერზე, ხელშემკვრელ მხარეთა შეთანხმებით, მომდევნო 5 წლის პერიოდით გაგრძელდება.

მუხლი 10

ეს შეთანხმება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ხელშემკვრელი მხარეები აცნობებენ ერთმანეთს, რომ ორიდან თითოეულ სახელმწიფოში ამისათვის საჭირო ფორმალობანი შესრულებულია.

შედგენილია ბონში 1978 წლის 6 მაისს ორ დედნად, თითოეული რუსულ და გერმანულ ენებზე, თანაც ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით

ლ. ბრეჟნევი
ა. გრომიკო

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით

ჰ. შმიდტი
ჰ.-დ. გენშერი

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

(დასასრული)

ანდა ავიღოთ დასავლეთ ევროპაში ტიფბრი ნავთობის საბადოთა ათვისება. ეს გრანდიოზული საქმე ამ თხუთმეტოდე წლის წინათ დავიწყეთ. დღეს კი აქ ღებულნ ყოველ მეორე ტონა საბჭოთა ნავთობს. აქ მდინარე ობზე ვითვისებთ დაახლოებით მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართობის რაიონს.

ანდა, ბოლოს, ჩვენი რუსეთის არაშავმიწანადადგილნი ზონის ნამდვილი აღორძინების პროექტები. საქმე ეხება, ასე ვთქვათ, ოდითგანვე რუსეთის გულის გარდაქმნას. წარმოიდგინეთ: ჩვენ გადავწყვეტეთ პრაქტიკულად ხელახლა შეექმნათ მოლალრდფუქტიული სოფლის მეურნეობა ფართობზე, რომელიც დაახლოებით საფრანგეთის ტერიტორიის ტოლია. ყველა სამუშაო, მთ შორის უზარმაზარი ფართობების დაშრობა და მორწყვა, ძირითადად მხოლოდ 1990 წლისათვის დამთავრდება. მაგრამ ოკვე 1980 წლისათვის ამ მიწებმა უნდა მოგვცეს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის მეექვსედი.

ჩვენი წამოწყებანი და გეგმები ათწლეულებისათვის არის გათვალისწინებული. ჩვენ ვამეშავებთ ორი ეარი, ანა ორ, არამედ ათობით პროექტს, რომელთაგან თითოეული თავისი მასშტაბით აღემატება ზოგიერთი სახელმწიფოს გეგმებს. და ყოველი მათგანის საბოლოო მიზანი მილიონობით ადამიანის, მთელი ჩვენი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაა.

სულ უფრო დიდი მასშტაბისა და შრომატევად ამოცანებს ვწყვეტთ სოციალურ სფეროშიც. მოვიყვან ასეთ მაგალითს. ჩვენს ახალ კონსტიტუციაში პირველად ჩაეწერეთ ბინის უფლება. ასეთი უფლების მარტოოდენ დეკლარირება არ შეიძლება. მისი რეალიზაციისათვის დიდი ღონისძიებანი ხორციელდება. ყოველწლიურად ჩვენში 11 მილიონი ადამიანი იღებს ახალ ბინებს. ამავე დროს სახელმწიფო სახლებში ბინის ქირის განაკვეთები ჩვენში მეტისმეტად მცირეა. ეს განაკვეთები 50 წლის წინათ დაწესდა და დღემდე არ გაზრდილა. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება, სახელმწიფო კისრულობენ ბინის ხარჯების სულ უფრო მეტ წილს. ანდა მეორე მაგალითი. ჩვენში არის უფასო და, ალბათ, მსოფლიოში უფასრთოესი, მთელი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. მსოფლიოში მომუშავე ყველა ექიმის მესამედი საბჭოთა ექიმია. მაგრამ მაქსიმალური ეფექტიანობით რომ უზრუნველვყოთ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის კონსტიტუციური უფლება, საჭიროა შემდგომი დიდი კაპიტალური დაბანდება, სოციალური ღონისძიებანი, მეცნიერული ძიება. და ასეთი მაგალითი ძალიან ბევრია.

ყოველივე ეს საკმაოდ რთული ამოცანებია. ჩვენ წინაშე დგას ბევრი რთული პრობლემა, ბევრი გვაქვს ნაკლოვანებანიც, მაგრამ ამ პრობლემების მილიონობით მოქალაქის ზარდი აქტიურობითა და ინიციატივით ვწყვეტთ. და ჩვენ მათ აუცილებლად გადავწყვეტთ — ერთადერთი პირობით — თუ შევძლებთ თავიდან აცილოთ ახალი მსოფლიო ომი, უზრუნველვყოთ ხანგრძლივი მშვიდობა მშვიდობიანი თანაარსებობის საიმედო საფუძველზე. ამ თვალსაზრისით ძნელი გასაგები არ არის, რომ ჩვენი პოლიტიკის მშვიდობისმოყვარეობა ეფექტიანი პოზა კი არ გახლავთ, არამედ თვით ჩვენი ცხოვრების ბრსია. ეს არის სსრ კავშირის უცვლელი და სტაბილური საერთაშორისო კურსის გარანტია, რომლის მიზნები, ჩემი აზრით, ნათელი, გასაგები და ახლობელია ყველასათვის: ხალხთა მშვიდობა, განიარაღება, უშიშროება.

დიდმნიშვნელოვანი კონკრეტული წინადადებანი, რომლებითაც საბჭოთა კავშირი გამოდის საერთაშორისო სარბიელზე, სწორედ ამ მიზნებს ისახავს. ჩვენ იმას ვესწრაფვით, რომ პირველნაბიჯ თუნდაც შეჩერდეს იმ სახელმწიფოთა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ზრდა, რომლებსაც დიდი სამხედრო პოტენციალი აქვთ. ეს აზრი უდევს საფუძვლად ინიციატივებს, რომლებსაც ჩვენ ვიჩენთ ამ ბოლო ხანს.

პატივცემულო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოადგილენო!

მაისის პირველი დეკადის მიწურული ჩვენი ქვეყნებისათვის ჩვენი ხალხებისათვის განსაკუთრებული დროა. ყოველ წელს ამ დროს ჩვენ აღვნიშნავთ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის ბრძოლების დამთავრებას. რა თქმა უნდა, აღვნიშნავთ სხვადასხვანაირად, და ბევრ რამეში ჩვენი გრძნობებიც განსხვავდება. ეს გასაგებია. მაგრამ განწყობილებანი და გრძნობებში მარტო განსხვავებანი არ არის. არის საერთოც, და იგი ჩემი აზრით ჩვენს დროში გაცილებით უფრო არსებითი, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. ჩვენმა ხალხებმა წარსულ ომში უზარმაზარი, აუნაზღაურებელი მსხვერპლი გაიღეს. და თუმცა დღეს ახალი თაობები გაიზარდა, თუმცა დღეს, შესაძლოა, სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოველმა მეორე მცხოვრებმა ამ ომის ამბავი მხოლოდ წიგნებით იცოდეს, — წარსული გვაიძულებს გაკვეთილად გამოვიყენოთ ომისეული ისტორია, განვგმტკიცებს მისწრაფებას ვიცხოვროთ მშვიდობით, არ დაეშვათ ახალი ტრაგედია.

ვგონებ, დროა ოკლებლივ ყველა სახელმწიფოს პასუხისმგებელმა პოლიტიკოსებმა ერთმანეთს, თავიანთ ხალხებს უთხრან: ომი არ უნდა იყოს! ოთხრან — და ყველაფერი იღონონ, რომ ომი მართლაც არ იყოს. მაგრამ დრო გვაჩქარებს: ყოველი დაკარგული დღე, ყოველი შეფერხება, ყოველი დაყოვნება შეიძლება მეტად ძვირად დაუჯდეს კაცობრიობას, ჩვენ ყველას.

პატივცემულო ტელემაყურებლენო, ამით ვხელმძღვანელობდით ჩვენ ბონის მოლაპარაკების დროს, აქ მიღებულ დოკუმენტებს დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაგალითად, ერთობლივ დეკლარაციაში, რომელსაც მე და კანცლერმა ჰ. შმიდტმა მოვაწერეთ ხელი, ნათქვამია, რომ მხარეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მყარ, შუამავ საფუძველზე განავითარონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის პოლიტიკური თანამშრომლობა. ეს შეეხება როგორც ორმხრივ საქმეებს, ისე დიდ საერთაშორისო საკითხებსაც, უწინარეს ყოვლისა ისეთ საკითხებს, როგორიც არის მშვიდობიანი თანაარსებობა, დაძაბულობის შენელება, გამალებული შეიარაღების აღკვეთა. ხელმოწერილია ადგილთა ვეშთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური ურთიერთობის ფართო განვითარებას უაღრესად ხანგრძლივი პერსპექტივისათვის — ამ ათასწლეულის დამლეკამდე. აქვე ჩვენი ორი ქვეყნის მშვიდობიანი თანამშრომლობის სოლიდური მატერიალური საფუძველი.

ეს კარგი შედეგებია. ახლა, ჩვენი თვალსაზრისით, ამოცანის ის არის, რომ მიღწეული მორგებანი რეალურ საქმეებად, რეალურ ერთობლივ ღონისძიებებად გადავაქციოთ საერთაშორისო სარბიელზე. მოდით, ღირსეულად განვაგრძოთ მოსკოვის 1970 წლის ხელშეკრულების ხელმოწერით დაწყებული ისტორიული საქმე. მოდით, განვავითაროთ და გავამდიდროთ ორივე ჩვენი ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის შემდგომი განმტკიცებისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებისათვის თანამშრომლობის კარგი ტრადიციები!

ნება მიბოძეთ, დასასრულ სულითა და გულით მოვახსენო მადლობა ჩვენს სტუმართმოყვარე მასპინძლებს — ფედერალურ პრეზიდენტს ვალტერ შეელს, ფედერალურ კანცლერს ჰელმუტ შმიდტს, ყველს, ვისაც შევხვედით და ვისთანაც მოლაპარაკება გვქონდა, თქვენ ყველას, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მცხოვრებლებს, გულთბილი მიღებისა და გულითადი მასპინძლობისათვის.

კარგად ბრძანდებოდეთ! ნახვამდის!

ლ. ი. ბრეჟნევის საუბრები ბონში

ბონი, 6 მაისი. (საკდესი). დღის პირველ ნახევარში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარის გ. კოლის საუბარი.

საუბრის დროს, რომელშიც მონაწილეობდა ბუნდესტაგში ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირ-ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე რ. ფონ ვაიზეკერი, განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთი საკითხი.

ბონი, 6 მაისი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარეს ფ.-ი. შტრაუსს. გაიმართა აზრთა გაზიარება მთელ რიგ პოლიტიკურ პრობლემებზე.

ლ. ი. ბრეჟნევი მესაუბრა ჰ.-დ. გენშერს

ბონი, 6 მაისი. (საკდესი). გუშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს, ფედერალური კანცლერის მოადგილეს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰ.-დ. გენშერს.

საუბრის დროს განიხილეს ორი ქვეყნის ორმხრივი ურთიერთობის განვითარების საკითხები, დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები. ამასთან ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ სასურველი და სასარგებლოა ორი ქვეყნის ურთიერთმოქმედება მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის, ხალხთა სიმშვიდისა და კეთილდღეობისათვის.

ჰ. შმიდტის გამოსვლა

ბონი, 5 მაისი. (საკდესის სპეც. კორ). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა დღეს სამთავრობო დარბაზობის სახლში „რეიუტში“ გამართა საუზმე, რომელშიც იყვნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვ. შეელი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ჰ. შმიდტი.

აქ მოვიდნენ ფედერალური კანცლერის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. — დ. გენშერი, ფედერალური მთავრობის სხვა წევრები, პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები, ბუნდესტაგის დეპუტატები და ბუნდესრატის წევრები, მთელ რიგ მხარეთა პრემიერ-მინისტრები, პროფკავშირების, კულტურის მოღვაწენი, „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — სსრ კავშირის“ საზოგადოების ხელმძღვანელობის წევრები, სხვა ოფიციალური პირნი.

საუზმეზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრები ნ. ს. პატოლიჩევი და ბ. პ. ბუგაევი, ლ. ი. ბრეჟნევის თანმხლები სხვა საბჭოთა ოფიციალური პირნი.

სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

პატივცემულო ბატონო ფედერალური პრეზიდენტო!

პატივცემულო ბატონო ფედერალური კანცლერო!

ქალბატონებო და ბატონებო!

დიდ კმაყოფილებას მანიჭებს გულითადად მოგესალმოთ როგორც ჩვენს სტუმრებს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებს, ბუნდესტაგის დეპუტატები და ბუნდესრატის წევრები, მთელ რიგ მხარეთა პრემიერ-მინისტრები, პროფკავშირების, „კულტურის მოღვაწენი, „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — სსრ კავშირის“ საზოგადოების ხელმძღვანელობის წევრები, სხვა ოფიციალური პირნი.

საუზმეზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრები ნ. ს. პატოლიჩევი და ბ. პ. ბუგაევი, ლ. ი. ბრეჟნევის თანმხლები სხვა საბჭოთა ოფიციალური პირნი.

საუზმეზე ოქროვანი სიტყვა ეთქვა ჰ. შმიდტმ.

ბატონო ფედერალურ კანცლერო!

ბატონო ვიცე-კანცლერო!

ბატონო საგარეო საქმეთა მინისტრო!

ბატონო ბუნდესტაგის ეროვნული ეკონომიკისა და ფინანსთა კომისიის თავმჯდომარე!

ქალბატონებო და ბატონებო!

ეს ოცი წელიწადი, ალბათ, ერთ-ერთ ყველაზე ბედნიერ ეპოქად ჩაეწერება ჩვენ ორ ქვეყანას ისტორიაში. ეს ეპოქა ეფუძნება ორ ფუძემდებლურ ფაქტორს: ერთ მხრივ, ეს ეპოქა ეფუძნება ფაქტს, რომ ჩვენ ორ ქვეყანას, ჩვენ ორ ხალხს, ჩვენ ორ ერს ბედმა ერთ-ერთ ეპოქაში ერთად ერგო ცხოვრება, ეს ეპოქა ეფუძნება ფაქტს, რომ ჩვენ ორ ქვეყანას, ჩვენ ორ ხალხს, ჩვენ ორ ერს ბედმა ერთ ეპოქაში ერთად ერგო ცხოვრება, ეს ეპოქა ეფუძნება ფაქტს, ეს ეპოქა ეფუძნება ფაქტს, ეს ეპოქა ეფუძნება ფაქტს

საერთაშორისო ცხოვრება

ქვეყანა ქვეყანაზე — ქვეყანა ქვეყანაზე — ქვეყანა ქვეყანაზე

● საკვლევი იტყობინებიან

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა გერმანელთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს

6 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და მასთან ერთად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მყოფი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები ნ. ა. ტიხონოვი, ნ. ს. პატოლიჩევი, ბ. პ. ბუგაევი, ლ. მ. ზამიატინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ა. მ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები ა. ი. ბლატოვი, ა. ს. ჩერნიაევი შეხვდნენ გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს ჰ. მისს, გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობის პრეზიდიუმის წევრებს კ. ფრიხს, ლ. პოლერს, გ. პოლიკარტს, გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობის მდივანს კ. გ. შრედერს, გამგეობის წევრებს ვ. გერკესს და ბ. ლანდეფელდს.

ლ. ი. ბრეჟნევს გულთბილი ამხანაგური საუბარი ჰქონდა გერმანელთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან.

ჰ. მისი ძირად და მხურვალედ მიესალმა ლ. ი. ბრეჟნევს. გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტ და თანამიმდევრულ პოლიტიკას, რომლის მიზანია მშვიდობის, უშიშროების, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმის განმტკიცება. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლ. ი. ბრეჟნევის ახალ ვიზიტს ჯრაქვადან და მტკიცე საფუძველზე საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის პოლიტიკური ურთიერთობის განგითარებისათვის, მთელი საერთაშორისო ვითარების, განსაკუთრებით ევროპის ვითარების გაუმჯობესებისათვის; საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, განმტკიცებისა და შემდგომი წინსვლისათვის. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს, თქვა ჰ. მისმა, მთლიანად იწონებენ ფედერაციული რესპუბლიკის მუშათა კლასი, მთელი მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ძალები.

ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ საბჭოთა კომუნისტები ღრმა სიმპათიით ეკიდებიან გერმანელთა კომუნისტური პარტიის საქმიანობას, რომელიც ერთგულად იცავს თავისი ქვეყნის მშრომელთა ინტერესებს, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს. მან განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს დასავლეთგერმანელი კომუნისტების ძტკიცე და გადამწყვეტ ბრძოლას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის კეთილმეზობლური ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარებისათვის, ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ნდობისათვის. ახლანდელ ვითარებაში, ხაზი გაესვა ლ. ი. ბრეჟნევმა, წყდება საკითხი, შეეძლეთ თუ არა შეეგიციროთ, შემდეგ კი მოვსპოთ თერმატომბრი ომის საფრთხე. მის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს მთელი იმ ძალების სოლიდარულმა მოქმედებამ, რომლებსაც შეუძლიათ წინააღმდეგნენ გამაღლებული შეიარაღების პოლიტიკას ალაგმონ გამაღებული შეიარაღება, უზრუნველყონ საერთაშორისო ურთიერთობის მშვიდობიანი განვითარება.

საუბრის დასასრულს ლ. ი. ბრეჟნევმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტებს უსურვა წარმატებანი ნაყოფიერ მუშაობაში, თავანმი ხალხის საკეთილდღეოდ. (საკდესი).

ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა თათბირი

6 მაისს თბილისში, სახელმწიფო ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ ტრიტორიაზე განლაგებული სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. პატარიძე, გ. ვ. კოლბინი, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ხ. მენთეშაშვილი, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრი ა. კ. ანტონოვი, მისი მოადგილეები გ. ნ. ბოჩკარიოვი, გ. პ. ვორონოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ლ. სავაკოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჭკორია, ე. მ. ჯაფარიძე, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის წევრები ნ. პ. გალეევი, ნ. კ. პრონინი, ლ. პ. საფრონკოვი, ამავე სამინისტროს სამმართველოს უფროსი ვ. კ. სეროვი, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსი ე. ე. პლოტნიკოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ელექტროტექნიკური მრეწველობის განყოფილების გამგე ვ. ნ. ფედოტოვი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, წარმოების მოწინავენი.

კრება გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. იგი შეეხო საქართველოში ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარების ძირითად მიმართულებათა მთავარ პრობლემებს.

მოისმინეს საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ გენერალური დირექტორის, საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოების დირექტორთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ა. ვ. ხუროძის, თბილისის ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხნის პარტბიუროს მდივნის მ. გ. გოძიაშვილის, საწარმოო გაერთიანება „საელექტრომანქანის“ გენერალური დირექტორის თ. გ. ნოზაძის, მცირე სიმძლავრის ელექტროტექნიკური მანქანების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის გ. ვ. მინდელის, ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“ მოწინავე მუშის ფ. ს. გასიევის, ქარხანა „ფოთიელექტროაპარატის“ მთავარი ინჟინრის ვ. ვ. ივანოვის, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორის ს. ს. სიხარულიძის, საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივნის ბ. ა. მერკვილაძის, საქართველოს სსრ მთავარმომარაგება-გასაღების უფროსის მოადგილის ო. ვ. ქვილითაიას, ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის დ. ი. ბაკურაძის, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ გენერალური დირექტორის ზ. დ. ჩივაძის, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივნის რ. ა. გოგლიძის გამოსვლები.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრმა ა. კ. ანტონოვმა.

კრების მონაწილეებმა მიიღეს საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა დამატებითი სოციალისტური ვალდებულებანი. (საქინფორმი).

პარტიის ერთგული თანაშემწენი

წელს საბჭოთა პრესის დღე სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებით გამოწვეული დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში აღინიშნება. დიდი და სასატიო მისია საბჭოთა პრესის მუშაკებისა, რომლებმაც თავიანთი მგზნებარე სიტყვით, მაღალი იდეურობის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობით, საბჭოთა პატრიოტიზმისა, და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით უნდა აღზარდონ ადამიანები ახალი შრომითი მიღწევებისათვის, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის აღაფრთოვანონ მილიონობით მშრომელები.

ხუთ მაისს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც საბჭოთა პრესის დღეს მიეძღვნა.

დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს ჟურნალისტები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მუშაკები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. გურგენიძემ.

მოხსენება გააკეთა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ჩერქეზიშვილმა. მან „გულითადად მიულოცა ჟურნალისტებს პრესის დღე და დიდი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა კეთილშობილურ მოღვაწეობაში.

სხდომაზე გამოვიდნენ გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორი ვ. ახასტასიადი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი, საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატი მ. ლომიძე, საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების“ გენერალური დირექტორი პოეტი ხ. ბერულავა, გაერთიანების ამყრნმავი ქ. გოგოჭური.

სხდომას დაესწრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზიი. (საქინფორმი).

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲒᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲔᲖᲝᲒᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — საზღვარგარეთის პრესის, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების წამყვანი თემაა. გაზეთების კომენტარებში, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეთა გამონათქვამებში ხაზგასმულია, რომ ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრა კარგ სამსახურს გაუწევს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხალხებს, მშვიდობის განმტკიცების საქმეს, დასახავს ენერგიის ერთობლივი გამოყენების დამატებით სფეროებს, ბრუნვაში მოიკცევს ახალ, ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებსა და შესაძლებლობებს.

პირველი მოლაპარაკების შემდეგ, წერს **„რაინიშე პოსტი“** (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), დასავლეთ გერმანიის დედაქალაქში მიიჩნიეთ, რომ არსებობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ორმხრივი ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობანი. ორივე მხარე ამასთან აღნიშნავს, რომ მათი გრძელვადიანი ეკონომიკური შეთანხმება მარტო წმინდა ეკონომიკურ მიზნებს როდი ისახავს. მან დადებითი ეფექტი უნდა მოგვცეს პოლიტიკურ დარგშიც.

„ველტი“ წერს, რომ „საბჭოთა სახელმწიფო და პარტიულმა ხელმძღვანელმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყოფნის უკვე პირველ დღეს განსაზღვრა თავისი ოფიციალური ვიზიტის მთავარი პოლიტიკური მიზანი და დასახა მასობრივი მოსპობის იარაღის ახალ სისტემათა წინააღმდეგ ბრძოლის ხაზი. 4 მაისს საღამოზე წარმოთქმულ სიტყვაში მან ხაზი გაუსვა, რომ უწინარეს ყოვლისა უნდა გამოირიცხოს ქვეყნად ნეიტრონული იარაღის გავრცელება“.

ოფიციალური ცნობების თანახმად, დასძენს გაზეთი, ლ. ი. ბრეჟნევის პირველი საუბარი ბრეზიდენტ შელთან და „ანცლერ შმიდტთან გულახდილ და საქმიან ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

ლონდონის **„დეილი ტელეგრაფი“** აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა თავისი ვიზიტი დაიწყო ბონის, მშვიდობისა და განიარაღებისათვის მხურვალე მოწოდებით. დაძაბულობის შენელება და განიარაღება — ეს ის ფუძემდებელი თემები, რომლებსაც იხილავენ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელები, აღნიშნავს, თავის მხრივ ინგლისის სხვა გაზეთი **„ტაიმსი“**. ბონის შეხვედრაზე საგანგებო ყურადღება ეთმობა სწორედ ამ თემებს, დასძენს გაზეთი, და ეს დასტურდება სიტყვით, რომელშიც ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოთვალა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, მათ შორის ნეიტრონული იარაღის წარმოებაზე ურთიერთხელლისაღების შესახებ.

ბელგიის **„სუარი“** აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის უმაღლესი დონის მოლაპარაკება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. და ამ მოლაპარაკების შედეგები, უთუოდ, თავს იჩენს უკვე უახლოეს საერთაშორისო შეხვედრებზე. სწორედ ამით აიხსნება ის უდიდესი ყურადღება, ხაზს უსვამს გაზეთი, რომელსაც უთმობენ ამ ვიზიტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრიობის ფართო ფენები.

საბჭოთა კავშირმა შემთხვევით როდი დააყენა საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკების ცენტრში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების პრობლემა, განაცხადა **ესპანეთის ტელევიზიის** პოლიტიკურმა კომენტატორმა. რუსებმა სხვებზე უკეთ იციან რა არის ომი. მათ იციან რა არის დედების ცრემლი. ქვრივ-ობლობის ვარამი. სწორედ ამიტომ ისინი ასე წუხან მშვიდობის ბედისათვის და ასეთი თანამიმდევრული სიმტკიცით იღწვიან მისი შენარჩუნებისათვის.

ბონში ლ. ი. ბრეჟნევმა კვლავ მიაპყრო ყურადღება იმას, რომ საკითხია იაეთი შეთანხმების მიღწევა, რომელიც გამორიცხავს ქვეყნად ნეიტრონული იარაღის გაჩენას და მოუწყვია ახალი ღონისძიებანი განახორციელონ შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირებისათვის, განსაკუთრებით ცენტრალურ ევროპაში, წერს ამერიკის გაზეთი **„ვაშინგტონ პოსტი“**. (საკდესი).

პირველი ნაბიჯები

ქაბული, 6 მაისი (საკდესი). ათი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ავღანეთში მოხდა რევოლუციური მოვლენები, რომელთა შედეგად არსებული რეჟიმი დაემხო და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა.

როგორც ქაბულის რადიოს გადაცემებში აღინიშნა, რევოლუციური აფეთქების შემდგომ პირველივე დღეებში მდგომარეობა ქვეყანაში სულ მალე ჩადგა კალაპოტში. ხალხის მასები ფართოდ ეუჭერენ მხარს დემოქრატიულ შემქმნელ რევოლუციურ საბჭოს და მთავრობას, იწონებენ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებას — ახორციელებდეს მშვიდობიანი და პოზიტიური ნეიტრალიტეტის პრინციპებზე დაფუძნებულ დამოუკიდებელ პოლიტიკას, იცავდეს თავისი ხალხის ნამდვილ ინტერესებს.

მშვიდობანმოყვარეულმა კურსმა, რომელიც ავღანეთის მთავრობამ გამოაცხადა, დადებითი გამოხმაურება პოვა საერთაშორისო ასპარეზზე: დროის მოკლე შუალედში უკვე ბევრმა სახელმწიფომ აღიარა ახალი ავღანეთის მთავრობა. მათ შორის არიან მეტი წილი სოციალისტური ქვეყნები, ინდოეთი. ავღანეთის მეზობელმა ირანმა დღეს გამოაცხადა ქაბულთან თავისი ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ.

როგორც აქ აღნიშნავენ, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინაშე საშინაო პოლიტიკის დარგში მდგომ უმნიშვნელოვნეს ამოცანათაგან ძირითადია მიწის სამართლიანი განაწილება გლეხთა შორის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების სისტემის გაუმჯობესება, მშრომელთა მოთხოვნების შესაბამისი სოციალური და კულტურული რეფორმების განხორციელება.

გაზეთი „ქაბულ ტაიმსი“ მოწვნილ სტატიაში, რომლის სათაურია „რევოლუცია და ხალხი“, აღნიშნავს, რომ რაც შეიძლება მალე უნდა აღმოიფხვრას ის მემკვიდრეობა, რომელიც ავღანელ ხალხს დაუტოვეს წინანდელმა ფეოდალურმა რეჟიმებმა, საოკეანეთა მანძილზე რომ ბატონობდნენ ქვეყანაში, და ამასთანავე დაადგეს ახალი ავღანეთი „ნამდვილი პროგრესისა და აყვავების გზას“. გაზეთი ხალხს მოუწოდებს ფეხზელად იყოს შინაური რეაქციის ძალებისა და მტრული იმპერიალისტური პროპაგანდის ხრიკების წინაშე.

ᲞᲠᲔᲡᲐ ᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ

ლონდონი, (ა.ტასი). „ნდობა ეკონომიკურ ურთიერთობებში — ასეთია ინგლისელ ბიზნესმენთა ერთსულოვანი დასკვნა ინგლისელ ბიზნესმენთა ასეთი სათაურით დაბეჭდა გაზეთმა „სანდი ტაიმსმა“ ეგვიპტის ამბებისადმი მიძღვნილი სტატია.

ეგვიპტის საზოგადოებრიობის ფართო ფენები, წერს „გაზეთი, ეკარგად გრძნობენ „ღია კარის“ ეკონომიკური პოლიტიკის, პრეზიდენტ სადატის დროს მიერ შექმნილი ფასებისადმი კონტროლის მექანიზმის ლიკვიდაციის, წელიწადში 20-30 პროცენტის ფონზე ინფლაციის უარყოფით შედეგებს. ქვეყანაში შემოსული უცხოელთა კაპიტალს ეყენებენ არა მრეწველობის განვითარებისათვის, არამედ სანაცვლო ოპერაციებში, უძრავი ქონებით ვაჭრობაში, სასტუმროებისა და ფიდრული სახლების მშენებლობაში. ადგილი მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა სადათს ეკისრება, ხაზს უსვამს „სანდი ტაიმსი“.

ახლა ზუსტად ვერ განსაზღვრება ახალგული რეჟიმისადმი ოპოზიციის მასშტაბი, რადგან სიტყვისა და კრებების „თავისუფლებას“ მკაცრ კონტროლს უწევს მთავრობა, რომელიც მისხალ-მისხალ ამოწმებს ინფორმაციას ხალხის რეალურ განწყობილებათა შესახებ. ყოველ ღონეთ ცდილობენ ძალიან ფეოდალურმა ელიტებმა, საოკეანეთა მანძილზე რომ ბატონობდნენ ქვეყანაში, და ამასთანავე დაადგეს ახალი ავღანეთი „ნამდვილი პროგრესისა და აყვავების გზას“. გაზეთი ხალხს მოუწოდებს ფეხზელად იყოს შინაური რეაქციის ძალებისა და მტრული იმპერიალისტური პროპაგანდის ხრიკების წინაშე.

კონსულტაციები გრძელდება

ჟენევა, 5 მაისი, (საკდესი). დღეს აქ გაიმართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა მორიგი პლენარული სხდომა. დელეგაციები ერთმანეთს უზიარებენ აზრს იარაღის საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვის საკითხებზე.

4 მაისს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა მეთაურები — ლ. ი. მენდელევიჩი და ლ. გელბი ვიზიტად ეწვევნენ ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს პ. ვიაიერიუნენს.

ამ შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ს. სტეპანოვი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ფინეთში რ. რიჭეი და ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი მ. ტუოვინენი.

8 მაისი ჰიტლერული ფაშიზმისაგან გერმანიის განთავისუფლების დღეა

მეგობრობა, თანამშრომლობა

„მერკური“ საბჭოთა კავშირისათვის

პირველი ამ თვრამეტი საზღვაო სატვირთო გემიდან, რომლებიც 1978 წელს უნდა გამოუშვან, ვარნემუნდის სახალხო საწარმომ „ვარნოვეკერფტმა“ საბჭოთა კავშირს გადასცა. „მერკურის“ სერიის გემი გათვალისწინებულია კონტეინერების ტრანსპორტირებისათვის. მის ექვს ტრიუმში, აგრეთვე გემის ქიმზე თავსდება თითოეული 31 კუბური მეტრი ტევადობის 730 კონტეინერი. ამ გემთსაშენში დღემდე საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტისათვის აგებულია 92 გემი.

საკონტეინერო ხიდი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ-ნავსადგური როსტოკი რიგასთან რეგულარული საკონტეინერო მიმოსვლით არის დაკავშირებული. ეს ფართო შესაძლებლობას ქმნის სხვადასხვა სამრეწველო პროდუქციის მოხერხებული გადაზიდვისათვის, საგრძნობლად აძცირებს რკინიგზის დატვირთვას.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა სახეობის ტრანსპორტით კონტეინერების გადაზიდვას, სხვადასხვაგვარეთ მათი გადაადგილების კონტროლს, აგრეთვე მომხმარებელ საწარმოებსა და სატრანსპორტო და დამტვირთავ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის კოორდინაციას ახორციელებს ორგანიზაცია „გდრ-კონტი“.

1980 წლამდე სატვირთო გემებით 15 ათასზე მეტ კონტეინერს გადაიტანენ.

„ლადა“, „მოსკვიჩი“, „ვოლგა“...

1978 წელს საბჭოთა კავშირი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას 115,0 მილიონი მანეთის საგზაო ავტომობილებს მიაწვდის. მომძე ქვეყნის მოქალაქეები მიიღებენ მუუბუქ ავტომობილებს „ლადას“, „მოსკვიჩს“, „ვოლგას“, „ზაპოროჟეცს“, რესპუბლიკის ბუტიკებლებზე ივლიან საბჭოთა სატვირთო და სპეციალური ავტომობილები, სხვადასხვა მარკისა და ტიპის ავტობუსები.

ახალგაზრდობის დამკვრელური შრომა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თითქმის ყველა საწარმოში შექმნილმა ახალგაზრდული ბრიგადების რიცხვმა უკვე 30 ათასს გადააჭარბა.

ჭაბუკები და ქალიშვილები განსაკუთრებული ენთუზიაზმით, შემოქმედებითად შრომობენ, ყველა საინტერესო თაოსნობის წამომწყებნი არიან, დამკვრელური შრომითი დიდი წვლილი შეაქვთ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში. მარტო შარშან ნედლეულისა და მასალების დაზოგვის, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის გზით ახალგაზრდულმა საწარმოო კოლექტივებმა, რომლებიც თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ფართოდ იყენებენ საბჭოთა ახალგაზრობის შრომის გამოცდილებას, სახელმწიფოს ერთ მილიარდ მარკაზე მეტი ღირებულების პროდუქცია მისცეს.

ახლა ახალგაზრდა თაობა შრომობს დევიზით „30 დამკვრელური საქმე — რესპუბლიკის საიუბილეოდ“.

მოდერნიზაციის კურსით

უკანასკელ ოთხ წელიწადში რესპუბლიკის მრეწველობასა და მშენებლობაში მოდერნიზებულია ნახევარი მილიონი სამუშაო ადგილი. აქედან 100 ათასი გასულ წელს ზოდის.

მოდერნიზება ხდება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, თვით მუშაობისა და მოსამსახურეების აქტიური მონაწილეობით. ქვეყნის საწარმოებსა და მშენებლობებზე ფართოდ ინერგება მექანიზაცია და ავტომატიზაცია, უმჯობესდება ენერგეტიკა, მცირდება ხელური, შენობების ჰაერის დაჭუჭყიანება.

გამოაგარიმებულია, რომ ყოველივე ამის გამო შრომის ნაყოფიერება ბევრ საწარმოში უკანასკნელ წლებში 30 პროცენტით გაიზარდა.

ახლანდელი ხუთწლედის გეგმით ყოველწლიურად გათვალისწინებულია 180 ათასი სამუშაო ადგილის მოდერნიზება.

მოითხოვენ თავისუფლებას

ბუენოს-აირესი. (საკდესი) ნიღლეს ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ მოითხოვა აღადგინონ ქვეყანაში პოლიტიკური და პროფკავშირული უფლებები, პრესისა და კრებების თავისუფლება. სანტიაგომი გავრცელებულ განცხადებაში მან დაგმო პინოჩეტის რეჟიმი, მოითხოვა შეადგინონ ახალი მთავრობა, რათა ქვეყანა გამოვიდეს ახლანდელი ჩიხიდან და დემოკრატიულად განვითარების გზას დაადგეს. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ხუნტა აფერხებს ქვეყნის განვითარებას, იწვევს მის სულ უფრო მეტ იზოლაციას მსოფლიოში.

საპროტესტო მარში

ვაშინგტონი. 6 მაისი. (საკდესი). „აილაგმოს გამალებული შეიარაღება, აიკრძალოს ატომური იარაღი და მისი უახლესი ნაირსახეობანი“ — ასეთი ლოზუნგით დაიწყო გუშინ საპროტესტო მარში ვაშინგტონიდან ნიუ-იორკში, რომელიც მოაწყო შეერთებული შტატების მასობრივმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „მობილიზაცია კაცობრიობის გადარჩენისათვის“.

ჩვენი მარში, განაცხადა საკდესის კორესპონდენტისათვის მიეცემულ ინტერვიუში მისმა ერთერთმა ორგანიზატორმა ტ. ჯოუტმ, შეეუფარდეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალურ სესიას. ჩვენ გვინდა ცხადყოთ, რომ ამერიკელ ხალხს სურს მშვიდობა, გამოდის ოფიციალური ვაშინგტონის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალიერების გადიდებისათვის აღებული კურსის წინააღმდეგ.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

6 მაისს თბილისში, სახელმწიფო ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. პატარიძე, გ. ვ. კოლბინი, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ხ. მენთეშაშვილი, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრი ა. კ. ანტონოვი, მისი მოადგილეები გ. ნ. ბოჩკარიოვი, გ. პ. ვორონოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ლ. სავაკოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჭკორია, ე. მ. ჯაფარიძე, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის წევრები ნ. პ. გალეევი, ნ. კ. პრონინი, ლ. პ. საფრონკოვი, ამავე სამინისტროს სამმართველოს უფროსი ვ. კ. სეროვი, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსი ე. ე. პლოტნიკოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ელექტროტექნიკური მრეწველობის განყოფილების გამგე ვ. ნ. ფედოტოვი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, წარმოების მოწინავენი.

კრება გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. იგი შეეხო საქართველოში ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარების ძირითად მიმართულებათა მთავარ პრობლემებს.

მოისმინეს საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ გენერალური დირექტორის, საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოების დირექტორთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ა. ვ. ხუროძის, თბილისის ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხნის პარტბიუროს მდივნის მ. გ. გოძიაშვილის, საწარმოო გაერთიანება „საელექტრომანქანის“ გენერალური დირექტორის თ. გ. ნოზაძის, მცირე სიმძლავრის ელექტროტექნიკური მანქანების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის გ. ვ. მინდელის, ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“ მოწინავე მუშის ფ. ს. გასიევის, ქარხანა „ფოთიელექტროაპარატის“ მთავარი ინჟინრის ვ. ვ. ივანოვის, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორის ს. ს. სიხარულიძის, საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივნის ბ. ა. მერკვილაძის, საქართველოს სსრ მთავარმომარაგება-გასაღების უფროსის მოადგილის ო. ვ. ქვილითაიას, ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის დ. ი. ბაკურაძის, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ გენერალური დირექტორის ზ. დ. ჩივაძის, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივნის რ. ა. გოგლიძის გამოსვლები.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრმა ა. კ. ანტონოვმა.

კრების მონაწილეებმა მიიღეს საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა დამატებითი სოციალისტური ვალდებულებანი. (საქინფორმი).

7 მაისი რადიოს დღეა

უმაანძილო გაფენი

კავშირგაბმულობის მუშაკთა ტრადიციული დღესასწაული — რადიოს დღე — ჩვენი ხალხის დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის, მეათე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის ვითარებაში აღინიშნება. შეიძლება ითქვას, რომ რადიოს დღე არის ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის დღესასწაული, რადიომოწყობილობის, ტელევიზიისა და რადიოელექტრონიკის დარგში მოპოვებული წარმატებების დათვალიერება.

83 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დიდმა რუსმა გამომგონებელმა ალექსანდრე სტეფანეს ძე პოპოვმა მსოფლიოში პირველად განაპორციელა რადიოგადაცემა. ტექნიკის უკანასკნელი ხუთეული აღჭურვილი ჩვენი რადიო და ტელევიზია მასობრივი ინფორმაციის ძლაერი საშუალებებია.

დრო, რომელ

გამოჩენილი ხელოვანი

სსრ კავშირის სახალხო არტისტის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კომპოზიტორ არამ ხაჩატურიანის ხსოვნას

ა. ი. ხაჩატურიანის დაკრძალვა

ერევანი, 6 მაისი. (საკდესის კორ.). დღეს სომხეთის დედაქალაქში გამოეთხოვა გამოჩენილ ხაბჭოთა კომპოზიტორს, არამ ხაჩატურიანს, ათასობით მშრომელმა ჩაუარა განსვენებულის კუბოს, რომელიც ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის შენობაში იდგა.

ქალაქის პანთეონთან, სადაც ა. ი. ხაჩატურიანი დაიკრძალა, გაიმართა ხამგლოვიარო მიტინგი. იგი გახსნა დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ს. დემირჭიანმა. მიტინგზე გამოვიდნენ სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ტ. ნ. ხრენიკოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. ფ. კუხარსკი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ვ. ა. ამბარცუმიანი და სხვები, რომლებმაც აღნიშნეს ა. ი. ხაჩატურიანის შემოქმედების წარუვალი მნიშვნელობა, მისი დიდი წვლილი მუსიკალური კულტურის საგანძურში.



ეს სურათი 1975 წელს არის გადაღებული თბილისში. თქვენ ხედავთ „ამერიკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის“ მონაწილეს — არამ ხაჩატურიანს (შუაში) კომპოზიტორებთან ა. ბალანჩივაძესა (მარცხნივ) და რ. მუსტაფაევს (ბაქო) შორის.

გ. გოგიჩაიშვილის ფოტო.

შესანიშნავი მეამკვიდრეობა

არამ ხაჩატურიანმა თავისი ნაოფლი, ოპტიმისტური ხელოვნებით უდიდესი წვლილი შეიტანა მრავალეროვნული საბჭოთა, კერძოდ სომხური, და, საერთოდ, აღმოსავლური მუსიკალური კულტურის საგანძურში. მისი შემოქმედება საკსა არაჩვეულებრივი ფერადოვნებით, საინტერესო მელოდიური ორნამენტიკით. ყოველივე ეს ჭარბად გამოჩნდა მის მრავალ ნაწარმოებში, იქნება ეს სომხური ეროვნული ბალეტი „გაიანე“ თუ საფორტეპიანო და სიმღერა-ინსტრუმენტალური, საქვეყნოდ ცნობილი ბალეტი „სპარტაკი“ თუ ბევრი სხვა ბრწყინვალე ნაწარმოები.

იგი მეადრად იყო დაკავშირებული თბილისთან, აქ პყავდა ბევრი კარგი მეგობარი, ხშირად ჩამოდიოდა შემოქმედებითი ანგარიშით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის სახელწოდება. სწორედ თბილისმა, მისმა აღმოსავლურმა ნაწილმა, მედუდუკეთა დასტებმა და ამქრებმა საგრძნობი კვალი დაიჩინა ხაჩატურიანის საფორტეპიანო კონცერტებს, ოღონდ დიდი განზოგადებული ეროვნული ფერადობა მისცა მას კომპოზიტორმა.

არამ ხაჩატურიანმა ღირსეულად გააგრძელა სპენდიაროვის, კომიტასის გზა და საბჭოთა სომხური მუსიკა ახალ, თანამედროვე დონეზე წარმოიჩინა.

ჩვენი შეხვედრები ყოველთვის გულღია და მეგობრული იყო, მახსოვს, ერთხელ ვარშავაში შევხვდით. იქ მიმდინარეობდა ფესტივალი „ვარშავის მუსიკალური შემოდგომა“. მე საბჭოთა კომპოზიტორების დელეგაციას ვხელმძღვანელობდი. არამი საავტორო კონცერტების გასამართავად ჩამოსულიყო. ერთმანეთის შეხვედრით ძალზე გავიხარეთ, მთელი დღე ერთად გავატარეთ. საღამოს კი თავის კონცერტზე მიმიწვია. მეორე დღეს შოპენის სახლ-მუზეუმი დავთვალიერეთ. ესაუბრობდით მუსიკაზე, შოპენზე... ეს იყო ძალზე სასიამოვნო და დასამახსოვრებელი დღეები.

ჩინებული კომპოზიტორი შესანიშნავი საზოგადო მოღვაწეც იყო, ჩემი აზრით, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირისათვის ერთ-ერთ საუკეთესო პერიოდად უნდა ჩაითვალოს ის წლები, როდესაც მას სათავეში ხაჩატურიანი ედგა.

არამ ხაჩატურიანის დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ბევრ შესანიშნავ მუსიკოსს აღზრდის, ბევრს ჩაუნერგავს სილამაზის, მუსიკის ტრფიალების და ყოველთვის დაამშვენებს საბჭოთა მუსიკალური კულტურის ისტორიას.

ა. მამავარიანი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

მშვიდობით!

ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ ჩვენს შორის აღარ არის არამ ხაჩატურიანი — ბრწყინვალე კომპოზიტორი, კოლორიტული პიროვნება, ხელოვანი, რომელმაც თავისი შემოქმედებით დიდი ამაგი დასდო საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებას.

ის ჩემი თაობის კაცი იყო, დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებდა, ერთმანეთის შემოქმედებითი გამარჯვება ყოველთვის გვახარებდა. და რაოდენ სამწუხაროა, რომ აღარ შეიძლება განხორციელდეს ბევრი შესანიშნავი ჩანაფიქრი, რომლებიც ამ ნიჭიერ ხელოვანს აღელვებდა. არადა, კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო! საუბედუროდ, სიკვდილს ვერაფერი დაუდგება წინ.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო მეგობარო!

ა. ბალანჩივაძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

საინტერესო გამოფენა

5 მაისს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში გაიხსნა უნგრული ხელსაწყოებისა და მოწყობილობის გამოფენა, რომელიც მოაწყო საგარეო საავტო საწარმო „მეტრიმპექსმა“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატების ხელშეწყობით.

გამოფენაზე წარმოდგენილია სხვადასხვა რადიოგასაზომი, ატომური, ლაბორატორიული ხელსაწყოები და მოწყობილობა, კაკუმური და ელექტროგამოსათვლელი ტექნიკა, რომლებსაც აწარმოებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, „მეტრიმპექსს“ კი საექსპორტოდ გაიქცს მსოფლიოს თითქმის 90 ქვეყანაში. „მეტრიმპექსს“ მჭიდრო კონტაქტები აქვს სსრ კავშირის ბევრ საწარმოსა და სამეცნიერო დაწესებულებასთან, კერძოდ, საქართველოში.

გამოფენის გახსნის წინ გაიმართა პრეს-კონფერენცია. ფირმა „მეტრიმპექსის“ კომერციულმა დირექტორმა ზოლტან რაიკმა, მოსკოვში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს პირველმა მდივანმა გაბრიელა ჩიმარმა და თბილისში უნგრეთის გამოფენის დირექტორმა მიკლოშ მანდრიკმა უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებზე, ილაპარაკეს ორ ქვეყანას შორის სამმხრივ-საექსპორტო მიწოდების შემდგომი გადიდების პერსპექტივებზე.

უნგრული ხელსაწყოებისა და მოწყობილობის გამოფენა 12 მაისამდე გაგრძელდება.

ბუნების მფვენება

ჩვენი მიწა-წყლის რომელ კუთხეში არ შეხვდებით ქართული ფლორის ასწლოვან მემატიანეთ. ისინი პირველნი გრძნობენ ალაონს. იმედიანად ხვდებიან მზის ჩახვლასაც. მკვდრად გაუდგამთ. დალოცვილებს, ფეხვები ქართული მიწის შრეებში და თითქოს მარადისობას ერკინებიან. ერთი მათგანი ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველ სენაკაში აღმართული, რომელსაც ჭადრების „ალტიარქი“ დაარქვა ფოტოკორესპონდენტმა ბ. ჯაველმა.

ქართველ მხატვრობა წარმატება

საქართველოს თეატრალურ მხატვართა ხელოვნება კარგა ხანია გასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს. ინტერესი მათი შემოქმედებისადმი მაღალმა პროფესიულმა დონემ და ფერწერის დიდმა კულტურამ განაპირობა.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, საქართველოს მხატვართა კავშირმა და სურათების სახელმწიფო გალერეამ მოაწყეს მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთა შედეგად ჩვენი რესპუბლიკის თეატრალურ მხატვართა შემოქმედებას გაეცნენ ტალინში, ლენინგრადში, რიგაში, ვილნიუსსა და მოსკოვში. შემდეგ უკვე ამ ქალაქების თეატრალურ მხატვართა ნამუშევრები ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრიობამ დათვალიერა.

ახლახან საქართველოს თეატრალურ მხატვართა გამოფენა უკრაინის დედაქალაქ კიევში გაიხსნა. აქ ექსპონირებული იყო 24 ქართველი მხატვრის 250 ნამუშევარი: დეკორაციისა და კოსტიუმების ესკიზები, მაკეტები.

გამოფენაში მონაწილეობდნენ როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები — საქართველოს სსრ სახალხო მხატვრები ფ.

.ლაბაძვილი, დ. თავაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ვ. ფდონოკოვა, კ. ჯუკლაძე და ი. სალკურავა, ისე სამუალო და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები — რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრები შ. ხუციშვილი და „საბეჭელი“ — ო. ქონაკაძე, ალ. სლოვინსკი და ი. ნიკვაძე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნ. იგნატოვი, გ. გუნია, მ. მალაზონია, მ. მურვანიძე, გ. ალექსანდრეშვილი, ი. გეგეშიძე, მ. შველიძე, თ. ნინუა და სხვები.

მეწყო გამოფენის განხილვა, რომელზეც უკრაინული ხელოვნების წარმომადგენლებმა კარგი შეფასება მისცეს ქართველ მხატვართა ნამუშევრებს. მათ აღნიშნეს მხატვრული აზროვნების მაღალი დონე, ეროვნული თვისებები, სცენური გონებამახვილობა, თეატრალური ფერწერულობა, შესრულების მაღალი ტექნიკა და პლასტიკურობა, დახვეწილი ფორმები და ლაკონიურობა.

კიეველთა ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ქართველ მხატვართა ესკიზებში დიდი პროფესიული ოსტატობით განხორციელებულმა, მოქმედებაში წარმოდგენილმა სპექტაკლის მხატვრულმა გადაწყვეტამ.

ქართველ მხატვართა ჯგუფს საინტერესო შეხვედრა ჰქონდა აგრეთვე უკრაინის თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული ახალგაზრდა თეატრალური მხატვრების ლაბორატორიის წევრებთან.

ქართველი თეატრალური მხატვრების წარმატებამ კიევში ერთხელ კიდევ ცხადყო მათი ხელოვნების აღიარება.

ჟ. ხუციშვილი.

სპორტის ამბები

ყინულის ფეერია

გამარჯვების დღეს — 9 მაისს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება მსოფლიოში სახელგანთქმული ფიგურული ცეკვაობის ოსტატების საჩვენებელი გამოსვლები.

მონაწილეთა შორის იქნებიან ოლიმპიურ ჩასპარეზობათა გამარჯვებულნი, მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის პირველობათა პრიზიორები — ი. როდნინა და ა. ზაიცევი, ი. მოისეეევა და ა. მინენკოვი, ნ. ლინიჩუკი და გ. კარპოსოვი, გ. კოვალიოვი, ი. ოვჩინიკოვი, ს. ეოლკოვი, ე. ეოდორეზოვა და სხვები. საჩვენებელი გამოსვლები გაგრძელდება 11 მაისამდე.

ფიგურული ცეკვაობის გამოჩენილ ოსტატთა გამოსვლა თბილისში, ცხადია, ამ სახეობის სპორტის თაყვანისმცემლებს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს, ხელს შეუწყობს მის პროპაგანდას.

სასურველი სტუმრების გარდა, გამოვლენ ქართველი ფიგურისტებიც: სსრ კავშირის ხალხთა ეოთხე სპარტაკიადის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი გ. მანყულაშვილი, ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის თასის გათამაშების ეერცხლის პრიზიორი ბ. ყურაშვილი და სხვები.

თბილისელებს აქამდე მხოლოდ ტელეეკრანის საშუალებით შეეძლოთ ენახათ ფიგურისტების გამოსვლები. და აი, დადგა ის დღეც, როცა მათ საშუალება ეძლევათ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები თბილისის სპორტის სასახლის ყინულის სარბაოზეც იხილონ.

ჰიდაობა

კარგად დაიწყეს

სოფიაში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. პირველ შეხვედრებში საბჭოთა ათლეტებმა წარმატებით ასპარეზეს: მეჯიბრების სტარტზე ათიდან ცხრამ გამარჯვება მოიპოვა. მათგან ხუთმა კი ვადაზე ადრე — წმინდა გამარჯვებები იზეიმეს: იბრაგიმოვმა (57 კგ) დამარცხა უნგრელი სალონტაი, ზანგიევმა (82 კგ) — ჩეხოსლოვაკიელი საბო, ბატნიამ (90 კგ)— იტალიელი აკოლა, თედიაშვილმა (100 კგ) — დასავლეთგერმანელი შრაცი, მძიმე წონის მოჭიდავემ ბიგაევმა — ბერძენი სპირიდოპულოსი. აბსაიდოვისა (62 კგ) და მარტას (74 კგ) მეტოქეები იყვნენ იუგოსლავები — ბაირამი და რისტოვი. იუგოსლავები პასიური ჭიდაობისათვის დისკვალიფიცირებული იყვნენ და, ცხადია, საბჭოთა სპორტსმენებს გამარჯვება მიეკუთვნათ. კაზაკიევემ (48 კგ) და გაიდარბეკოვმა (68 კგ) მესაბამისად ქულებით გაიმარჯვეს სტოიანოვთან (ბულგარეთი) და პრობსტთან (გდრ). მხოლოდ ერთმა, ფაშაევმა (52 კგ) წაგო ორთაბრძოლა ბულგარელ სელიმოვთან.

ჩემპიონატის დასკვნითი, ფინალური შეხვედრები დღეს გაიმართება.

ფეხბურთის ისტორიიდან

ასე თამაშობდნენ ძველ ინგლისში

ფეხბურთის მატჩი, რომელიც წელიწადში ერთხელ ეწყობა ინგლისის ქალაქ ეშბორნში, მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვეულებრივისაგან. ტყავის ბურთი კორპის ბურბუშელით არის გატენილი და ფორმით ოდნავ თუ შიგავს მრგვალს.

შეჯიბრების დღეს ქალაქის ყველა მცხოვრები დილადანვე ანებებს თავს შუშაობას, იკეტება ყველა დუქანი და მაღაზია, თავს იყრიან ქალაქის ცენტრში, სადაც, რამდენადაც ქალაქი ორად არის გაყოფილი ნაკადულით, შეიკრიბენ ხოლმე ორ გუნდს: „ქვემოს“ და „ზემოს“.

არსებითად თამაშს არავითარი წესები არა აქვს, ისევე როგორც არა ჰყავთ მსაჯები და არ არსებობს სასჯელი. თამაშის მიზანია ბურთი გაიტანონ კარებში, რომლებიც სამი მილით არის დაშორებული ერთმანეთს: თამაშის დროს ბურთი მიაქვთ ქუჩებით, ეზოებით, ბაღებითა და ბოსტნებით, ნაკადულებითა და გუბეებით, დაყოველთვის ეს მანამდე გრძელდება, სანამ ბურთს არ გაიტანენ, თუ ეს ვერ მოხდა, მატჩი დაფამენებისას მთავრდება.

ოდესღაც, დიდი ხნის წინათ მთელ ინგლისში ასე თამაშობდნენ ბურთს, მაგრამ ბურთაობის ეს სახეობა ყველგან აიკრძალა ან თანამედროვე ფეხბურთმა გამოდევნა. ამას იუწყება ჟურნალი „რიდერს დაიჯესტი“.

ჰოკეი

ოთხივე ფინალისტი ცნობილია

პრაღაში ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის მეექვსე ტურის პირველი ორი მატჩი ასე დამთავრდა: გფრ-ფინეთი — 5:3, გდრ-აშშ — 3:7. გუშინ ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრაში წარმატება წილად ხვდათ მასპინძლებს — 6:4.

მეორე წრეში — ფინალურ ოთხეულში ითამაშებენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიისა და კანადის გუნდები.

ძიუდო

პირველი ჩემპიონი

ჰელსინკის „იაპალის“ სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე გამოვლინდა პირველი ჩემპიონი. ეს წოდება მოიპოვა რიგელმა ათლეტმა ა. იაკუბოვიჩმა (86 კგ. წონითი კატეგორია), მან ფინალში დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი დ. ულჩი.

„კომუნისტის“ მკითხველებს!
ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გავიცვა ორშაბათს, 8 მაისს.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

კინოფესტივალი

ერევანი, 5 მაისი. (საკდესის კორ. ე. ხორავა, ე. სანტრიანი). რესპუბლიკის დედაქალაქში დაიწყო მე-11 სრულიად საკავშირო ფესტივალი, რომელიც შეაჯამებს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს - კინემატოგრაფისტთა მუშაობის შედეგებს. ფართო საკონკურსო ეკრანზე -წარმოდგენილია ნაწარმოებები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა რევოლუციური ისტორიას, მის გმირულ სანამდვილეს, კომუნისტურ მშენებლობამ მიღწეულ წარმატებებს.

თვითმფრინავის გატაცების ცდის თავიდან აცილების გამო

ამა წლის მაისის დამდეგს შეიარაღებულმა დამნაშავემ ა. ნ. სკუბენკომ სცადა ხელში ჩაეგდო და საზღვარგარეთ გეეტაცებინა სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც აშხაბად-მინერალ წყლების ფრენით მიფრინავდა. სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს ფრენის უშიშროების უზრუნველყოფის ძალებით ეს ცდა აღკვეთილ იქნა. დამნაშავე, რომელმაც წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მოკლეს.

მგზავრებსა და ეკიპაჟის წევრებს არაფერი დაშავებიათ.

(საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამს. იური ანტონიუსის ძე **ოზრაელი** დანიშნა სსრ კავშირის - ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარეშოს კონტროლის ხალხმეწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

ეროვნული ტელევიზიის გადაცემა

პირველი პროგრამა

8 მაისი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.50 — დოკუმენტური ფილმი „პამირის ალობმი“, 10.30 — „მაღვიძარა“ (მოსკოვიდან), 11.00 — შვეისწავლოთ ქართული ენა, 11.30 — მხატვრული ფილმი „სიმაღლის შიში“ (ფერადი), 13.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (მოსკოვიდან), 13.30 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 14.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 14.30 — მოსწავლეთათვის — „სატურნი“ (ფერადი), 15.45 — „საერთაშორისო პანორამა“ (მოსკოვიდან), 16.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ცეკვავს ნადეჟდა პავლოვა“, 16.35 — დოკუმენტური ფილმი „ერთადერთი დუბლი“ — პრემიერა, 17.50 — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „დასაწყისი“ — I მოქმედება, 18.55 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (მოსკოვიდან), 20.00 — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „დასაწყისი“ — II მოქმედება, 21.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.40 — ქართული სატელევიზიო ფილმი — „სიცილი ეკრანზე“. ქართული მხატვრული ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

10 მაისი

09.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.50 — კინონარკვევი, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 17.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 17.50 — შვეისწავლოთ გერმანული ენა, 18.20 — მოსწავლეთათვის „გზა არენაზე“, 18.40 — „ვეტნიკი“ საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 19.00 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“, 19.15 — „გმირობა“ (მოსკოვიდან), 20.00 — „საესტრადო პანორამა“ 20.30 — „საერთაშორისო დღიური“, 21.00 — „მამამე“ საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — თბილისის საკონცერტო დარბაზებში, 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.45 — სპორტული პროგრამა, 1. სპორტული მიმოხილვა; 2. ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „პახტაკორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (თბილისი).

11 მაისი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — კინონარკვევი, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა, 17.30 — განცხადებები, 17.35 — კინონარკვევი — „ბაიკალი, გაზაფხული“, 17.50 — უმცროსკლასელთათვის — რუსული ენა, 18.20 — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით — „ლენინური აგრარული პოლიტიკის ახალი ეტაპი“, 18.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 19.15 — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა — ფაშისტ დამპყრობთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 33-ე წლისთავის გამო (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — კომედიური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი — „სიცილი ეკრანზე“. მხატვრული ფილმი „კანონი კანონია“.

12 მაისი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — კინონარკვევი, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია, 17.30 — განცხადებები, 17.35 — კინონარკვევი, 17.50 — შვეისწავლოთ ფრანგული ენა, 18.20 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.30 — მოსწავლეთათვის — „დიდი გზის დასაწყისი“, 19.00 — კონცერტი, 19.25 — „საქართველოს სსრ კინსტატიკა“, 19.55 — გადაცემა ციკლიდან „ქართული სოფლის ლიტერატურული მატიანე“ — „ქართული სოფლის ცისკარი“ — „ჩემი ქვეყნის ოქროყანა“ (ფერადი), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — „ოქროპირი“ — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი, 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.45 — „საზღვარგარეთის ესტრადის რიტმები და მელოდიები“ (მოსკოვიდან), 23.30 — „ბალეტი“ ქართველობა ოვკეანეში, ფენომენ ჟუფის მონაწილეთა მატჩი (ტრანსლაცია პრაღიდან).

13 მაისი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 კინონარკვევი, 09.45 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა — „მოსუცი და ტბა“ და „ჩრდილოეთის დონეცი“, 10.25 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მოსკოვიდან), 10.55 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა“ (მოსკოვიდან), 11.25 — შვეისწავლოთ ქართული ენა, 11.55 — დოკუმენტური ფილმი — „ყურადღება, ბუნება!“ (ქართულ ენაზე), 12.55 — მულტიპლიკაციური ფილმი, 12.55 — „ჯანმრთელობა“ (მოსკოვიდან), 13.40 — — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის (ფერადი), 14.35 — მხატვრული ფილმი — „სენტიმენტალური რომანი“ (ფერადი), 16.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „აკაკი ხორავა“ (პრემიერა), 16.40 — „ამკარა-დაუჯერებელი“ (მოსკოვიდან), 17.40 — „სიმღერა — 78“ (მოსკოვიდან), 18.15 — „ბაზეთ „პრავდის“ პოლიტიკური მიმოხილველის, სოციალისტური შრომის გმირის ი. ჟუკოვის საუბარი საერთაშორისო თემაზე (მოსკოვიდან), 19.00 — „შრომა და დასვენება“ — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი, 20.00 — კინონარკვევი, 20.15 — ლენინგრადის ესტრადის მსახიობთა კონცერტი (ფერადი), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — ვეოლსპრინტერთა საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ტელევიზიის დიდ პრიზზე. ვიდეოჩანაწერი (ფერადი).

14 მაისი

09.00—„ვრემია“—საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — კინონარკვევი, 09.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ალმასის წახნაგი“ და „სამკურნალო წყლების მხარეში (ფერადი), 10.10 — „ცერროდენას ეკრანი (ქართულ ენაზე), 10.30 — „მაღვიძარა“ (მოსკოვიდან), 11.00 — შვეისწავლოთ რუსული ენა, 11.30 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან“ (ფერადი), 12.50 — „მსოფლიოს ქალაქი-მუზეუმები“ (ფერადი), 13.20 — „საჭადრაკო სკოლა“, 13.40 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა, 14.10 — „მუსიკალური კიოსკი“ (მოსკოვიდან), 14.40 — „კინოაფიშა“, 15.10 — „ნორჩ წიგნის მოყვარულთა კლუბი“, 15.40 — „კინომუზიკა“, 16.25— „საერთაშორისო პანორამა“ (მოსკოვიდან), 17.00 — ბავშვებისათვის — „მხიარული სასტუმრო“ (ფერადი), 17.35 — „ჩვენი სოფელი“ — სატელევიზიო პროგრამა, 18.20 — „კინოს მოყვარულთათვის“, 19.25 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (მოსკოვიდან), 20.30 — კონცერტი, 21.00 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — სატელევიზიო ფილმი — „კარაჩინგილი“ (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში. ფინალური ჯგუფის მონაწილეთა მატჩი. III პერიოდი (პრაღიდან).

ეროვნული ტელევიზიის მეორე პროგრამა

7 მაისი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.50 — კინონარკვევი, 10.00 — დოკუმენტური ფილმი, 10.10 — „ბურატინოს გამოფენა“ (მოსკოვიდან), 10.40 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მოსკოვიდან), 11.10 — მუსიკალური პროგრამა — „დილის ფოსტა“ (მოსკოვიდან), 11.40 — შვეისწავლოთ რუსული ენა, 12.10 — „ბავშვებისათვის — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი, 12.30 — „საჭადრაკო სკოლა“, 12.55 — „ცერროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 13.15 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მოსკოვიდან), 14.00 —კინოჟურნალი, 14.10 — „კინოაფიშა“, 14.40— „ცხოველთა სამყაროში“ (მოსკოვიდან), 15.40 — „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქები“ — კინოპროგრამა (მოსკოვიდან), 16.10 — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), დასასრული — კონცერტი. კ. ვებერისა და ფ. მენდელსონის ნაწარმოებები (მოსკოვიდან), 17.30 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა, 18.00 — „წელი მესამე — წელი დამკვრელური“ — სატელევიზიო პროგრამა, 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) II ტაიმი (მოსკოვიდან), 19.45 — „თანამგზგრობა“ (მოსკოვიდან), 20.20 — კონცერტი, 21.00 — „მოამბე“. — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.45 — „კინოს მოყვარულთათვის“.

მეორე პროგრამით

17.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „გედები მიფრინავენ“ (ფერადი), 18.15 — დოკუმენტური ფილმი „რუსული ბალეტი იაპონიაში“ (ფერადი), 19.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კარელიაში“, 19.30 — „პირველად წვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „სტყვა ეძლევა დაცვას“ (ფერადი), 21.00— კონცერტი.

8 მაისი

06.35 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — ამინდის ბიულეტენი, 08.33 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — პოპულარული საბალეტო მუსიკა, 10.00— ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 10.15 — „გამარჯობა, ამხანაგო!“ (მოსკოვიდან), 11.20 — მსუბუქი სორკესტრი პიესები, 11.40 — „ხვალ გამარჯვების დღესასწაულია“. სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების პოლიტსამმართველოს უფროსის, საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ გ. გორშკოვის გამოსვლა (მოსკოვიდან), 12.00 — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტთა კონცერტი, 12.30 — „მცხეთელი კაცის გახსენება“, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მოსკოვიდან), 13.30 — „ბაზეთ „პრავდის“, მოწინავე სტატია, 13.40 — ვ. სოლოვიოვ-სედოის სიმღერები, 14.00 — „აღორძინება“ — ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა ფურცლების მიხედვით, რომელიც ჟურნალ „ნოვი მირის“ მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა (მოსკოვიდან), 17.15 — „გამარჯვების მაისი“. მუსიკალური რადიოკომპოზიცია, 18.00 — „მცირე მიწა“. რადიოფილმი (ნაწილი პირველი), 18.45 — მღერის საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ვოკალური ოქტეტი, 19.05 — ქართული მუსიკის კონცერტი, 20.30 — „თეატრი მიკროფონთან“. თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „წმინდანები ჯოჯოხეთში“, 23.30 — ეკრანის მელოდიები“.

9 მაისი

9 მაისის მატჩის ვიდეოჩანაწერი; 3. მსოფლიო პირველობა ჰოკეიში. ფინალური ჯგუფის მონაწილეთა მატჩი (ტრანსლაცია პრაღიდან).

11 მაისი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — კინონარკვევი, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა, 17.30 — განცხადებები, 17.35 — კინონარკვევი — „ბაიკალი, გაზაფხული“, 17.50 — უმცროსკლასელთათვის — რუსული ენა, 18.20 — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით — „ლენინური აგრარული პოლიტიკის ახალი ეტაპი“, 18.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 19.15 — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა — ფაშისტ დამპყრობთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 33-ე წლისთავის გამო (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — კომედიური ფილმ